

## აღმოსავლეთ რომის იმპერიის საზღვრები და მოსახლეობა

ბიზანტიაში შევიდა რომის იმპერიის მთელი აღმოსავლეთი ნაწილი: ბალკანეთის ნახევარკუნძული, მცირე აზია, ეგეოსის ზღვის კუნძულები სირია, პალესტინა, ეგვიპტე, კრეტა და კვიპროსი, მესოპოტამიისა და არმენიის ნაწილი, არაბეთის ცალკეული რაიონები, ასევე ყირიმის სამხრეთ სანაპირო (ხერსონესი) და კავკასიის ნაწილი. მისი ტერიტორია 750.000 კვ. კმ-ს აღემატებოდა.

ბიზანტიის ვრცელი იმპერიის მოსახლეობა დაახლოებით 50-65 მილიონს შორის მერყეობდა და ეთნიკურად ძალიან ჭრელი იყო. უდიდეს ნაწილს შეადგენდნენ ბერძნები და არაბერძნული მხარეების ელინიზირებული მცხოვრებნი. იმპერიაში ყველაზე გავრცელებული იყო ბერძნული ენა. ბალკანეთის ნახევარკუნძულის გარდა, ბერძნები ძირითადად კუნძულებზე, ბიზანტიურ აფრიკასა და მცირე აზიის დასავლეთ ნაწილში, ასევე მაკედონიასა და ეპირში ცხოვრობდნენ. შედარებით მცირე იყოს ლათინური მოსახლეობა და იგი ბალკანეთის ნახევარკუნძულის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, ადრიატიკის ზღვის სანაპიროებსა და მცირე აზიის დასავლეთის ქალაქებში გვხვდებოდა.

ებრაელები და სამარიელები პალესტინაში, სირიასა და მესოპოტამიაში მკვიდრობდნენ. მძლავრი იდეური თემები იყვნენ იმპერიის დიდ ქალაქებში: კონსტანტინოპოლში, ალექსანდრიასა და ანტიოქიაში. იმპერიაში მცხოვრები სხვა ხალხებისაგან განსხვავებით, მათ ელინიზაციის პროცესი თითქმის არ განუცდიათ, და ეთნიკური თვითმყოფადობა, რელიგია და ენა შეინარჩუნეს; საინტერესო ფაქტია, რომ სწორედ ამ პერიოდში ჩამოყალიბდა უზარმაზარი თალმუდური ლიტერატურა ებრაულ ენაზე.

იმპერიაში მოსახლეობდნენ, აგრეთვე, რომანიზირებული ილირიელები, ელინიზირებული და რომანიზირებული მაკედონიელები, თრაკიელები, სომხები, კაპადოკიელები, რომელთაც ბიზანტიელი ისტორიკოსები მესხების ქართულ ტომთან აიგივებდნენ და ქართველები. დუნაისპირა პროვინციებში ჩამოსახლება დაიწყო ბარბაროსულმა ტომებმა: გოთებმა, სარმატებმა, ვანდალებმა და ალემანებმა. მათგან ყველაზე დიდი კავშირი მე-3 საუკუნის ბოლოსა და მე-4 საუკუნის დასაწყისში გოთებმა შექმნეს. ამავე ხანებში დაიწყო მათი გაქრისტიანებაც. მე-4 საუკუნეში ისინი ისე გაძლიერდნენ, რომ იმპერიას თავს არა მხოლოდ ძარცვის, არამედ მიწების წართმევის მიზნითაც ესხმოდნენ. IV საუკუნის შუა წლებიდან გოთები აზიიდან დამრულმა ველურმა მომთაბარეებმა – ჰუნებმა შეავიწროვეს. იმპერიის ხელისუფლებამ ჰუნებისაგან დამარცხებულ გოთებს, სარმატებსა და ალანებს საზღვრების გადმოლაზვისა და განაპირა უკაცრიელ ადგილებში დასახლების უფლება მისცა. ათიათასობით ბარბაროსი დამკვიდრდა მიზიასა და თრაკიაში.

V საუკუნეში ჰუნები უკვე იმპერიის საზღვრებს მოადგნენ. მათი მუდმივი თავდასხმებისა და ჩამოსახლებების შედეგად თანდათან გაქრნენ მაკედონიელები და თრაკიელები. V საუკუნეში, ცნობილი ბელადის ატილას სიკვდილის შემდეგ, ჰუნების კავშირი დაიშალა, მაგრამ ხალხი საცხოვრებლად იმპერიის ტერიტორიაზე დარჩა. V საუკუნის ბოლოს ბიზანტიის სამფლობელოებში მომთაბარე პროტობულგარელები და სლავების მიწათმოქმედი ტომები შემოიჭრნენ.

აღსანიშნავია, რომ ამ ხალხებმა, რომელნიც პოლიტიკური თვალსაზრისით ბიზანტიის ქრისტიანულ იმპერიას არათუ ხშირად უპირისპირდებოდნენ, არამედ ზოგჯერ მის არსებობას საფრთხესაც კი უქმნიდნენ, ბიზანტიურ კულტურაზე ვერანაირი ზეგავლენა ვერ მოახდინეს. რადგან საკუთარი კულტურა თითქმის არ გააჩნდათ, მათ ძალიან მალე დაკარგეს თვითმყოფადობა. სამაგიეროდ, ადგილობრივი მოსახლეობის ელინიზაციის პროცესი მძიმედ მიმდინარეობდა მცირე აზიის აღმოსავლეთ ნაწილში, კერძოდ, კაპადოკიაში, ლიდიასა და ფრიგიაში. საკუთარი ენა და დამწერლობა საკმაოდ დიდხანს შეინარჩუნეს ლიდელებმა და ფრიგიელებმა.

რაც შეეხება იმპერიაში შემავალ იმ ხალხებს, რომელთაც კულტურული წარსული მოსდგამდათ, არა თუ დაკარგეს იგი, არამედ, პირიქით, მისი განვითარებაც კი შეძლეს. მაგალითად, IV საუკუნეში საბოლოოდ ჩამოყალიბდა სირიული სალიტერატურო ენა, რომელზეც მდიდარი და თვითმყოფადი მწერლობა შეიქმნა. სირიული მოსახლეობის მთავარი კულტურულ-რელიგიური ცენტრი ქალაქი ედესა გახდა. თავის მხრივ, სირიამ, კულტურის თვალსაზრისით, კეთილისმყოფელი გავლენა მოახდინა პალესტინასა და სამხრეთ მესოპოტამიაში მცხოვრებ მონათესავე არაბთა მომთაბარე ტომებზე. IV-V საუკუნეებში ჩამოყალიბდა არაბი ხალხი და მისი ენა, რასაც შედეგად ამ ენაზე მწერლობის განვითარებაც მოჰყვა. ეთნიკურად მრავალფეროვანი იყო, აგრეთვე, ბიზანტიური ეგვიპტე; აქ, ადგილობრივი მოსახლეობის – კოპტების გარდა, რომაელები, სირიელები, ლიბიელები, კილიკიელები, ეთიოპიელები და არაბები ცხოვრობდნენ.

მართალია, როგორც ეს უკვე აღვნიშნეთ, ზოგიერთმა ხალხმა იმპერიის პირობებში საკუთარი კულტურის შექმნა და განვითარება შეძლო და გარკვეულწილად თავისი წვლილიც შეიტანა იმპერიის კულტურის განვითარებაშიც, მაგრამ ბიზანტიურ კულტურას ძირითადად მაინც ბერძნული ხასიათი ჰქონდა, ისევე როგორც სამწერლობო და სამეტყველო ენაც ძირითადად ბერძნული იყო. ჩვენ ბიზანტიურ ლიტერატურას შუასაუკუნეებში ბერძნულ ენაზე შექმნილ ლიტერატურას ვუწოდებთ, რომელიც IV-VI საუკუნეებში ჩამოყალიბდა და თავისი არსებობა იმპერიის დაცემასთან ერთად, მე-15 საუკუნეში დაასრულა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ბიზანტიური მწერლობა, რა თქმა უნდა საერთოდ ბერძნული ლიტერატურის, რომელსაც ანტიკური ეპოქიდან მოყოლებული დღემდე უწყვეტი ხასიათი აქვს, ერთ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს,<sup>1</sup> მაგრამ აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბიზანტიური კულტურა და ბიზანტიის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ყოფა, რომელსაც მეცნიერებაში ბიზანტინიზმი ეწოდება, მხოლოდ ელინური კულტურისა და ყოფის საფუძველზე არ ჩამოყალიბებულა, ბიზანტია, რომელსაც აღმოსავლეთ რომის იმპერია ეწოდებოდა, ბუნებრივია, თავს რომის იმპერიის არა მხოლოდ პოლიტიკურ, არამედ იმ კულტურის მემკვიდრედაც მიიჩნევდა, რომელიც ამ იმპერიაში შეიქმნა. გარდა ამისა, ბიზანტიური კულტურის შექმნაში საკუთარი წვლილი შეიტანეს აღმოსავლეთის იმ ქვეყნებმაც, რომელნიც ან უშუალოდ იმპერიაში შედიოდნენ, ან მის პოლიტიკურ ზეგავლენას განიცდიდნენ, როგორც მაგალითად, სამხრეთ-დასავლეთ საქართველო. ამას ხელს თვითონ ბიზანტიელებიც უწყობდნენ,

---

<sup>1</sup> იქვე, გვ. V.

რომელნიც თავიანთი შორეული წინაპრების – ანტიკური ხანის ელინების მსგავსად, პოლიტიკური უპირატესობის მიუხედავად, ყველა ხალხის კულტურისადმი ცხოველ ინტერესს იჩენდნენ და რაც მოეწონებოდათ, მის გადაღებასა და შეთვისებას სრულიად არ თაკილობდნენ. არ იყო ალბათ შემთხვევითი ის ფაქტი, რომ უკვე ელინისტურ ეპოქაში კულტურის ცენტრებმა თავად საბერძნეთიდან აღმოსავლეთში გადმოინაცვლეს. განსაკუთრებით, ცხადი გახდა ეს მოვლენა ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობის შემდეგ, რომელსაც აღმოსავლეთის ელინურ არეალში ისეთი მძლავრი კულტურული ცენტრების დაარსება მოჰყვა, როგორც იყო ალექსანდრია ეგვიპტეში, ანტიოქია-სირიაში, ღაზა-პალესტინაში, ბერუთი-ფინიკიაში, თარსუსი-კილიკიაში და ა. შ. ასე რომ, ბიზანტიური კულტურა არც მხოლოდ ელინურ-რომაულ კულტურაზე ამოზრდილა, მასში აშკარად ჩანს კვალი აღმოსავლეთის ხალხების კულტურული მონაპოვრისა და აქედან გამომდინარე, აღმოსავლურობაც ახასიათებს. და ბოლოს, ბიზანტია ქრისტიანული კულტურის კლასიკური ქვეყანაა. პირველად ბიზანტიაში შეიქმნა ბერძნულ ენაზე უმდიდრესი ქრისტიანული ლიტერატურა თავისი მრავალფეროვანი ჟანრებით; ქრისტიანული იდეოლოგია ასაზრდოვებდა, აგრეთვე, ხელოვნების სხვა დარგებსაც: ხუროთმოძღვრებას, მხატვრობასა და მუსიკას. ასე რომ, იმას, რასაც მეცნიერებაში ბიზანტინიზმს უწოდებენ,<sup>2</sup> ოთხი შემადგენელი ელემენტის – ელინიზმის, რომანიზმის, აღმოსავლურობისა და ქრისტიანობის ერთობლიობა ქმნის, რომელთაგან, რა თქმა უნდა, გადამწყვეტი მნიშვნელობა ქრისტიანობას, როგორც ბიზანტიელთა სულიერი და პოლიტიკური ცხოვრების წარმმართველ რელიგიურ-ზნეობრივ მოძღვრებას, ენიჭება.

---

<sup>2</sup> იქვე, გვ. 8-13